

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს

2025 წლის ანგარიში



სსიპ გარემოს
ეროვნული სააგენტო

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო (შემდგომში - სააგენტო) ახორციელებს ჰიდროლოგიური, მეტეოროლოგიური და გეოლოგიური პროცესების და გარემოს (ატმოსფერული ჰაერის, წყლისა და ნიადაგის) ხარისხობრივი მდგომარეობის მონიტორინგს; ამზადებს ამინდის და ჰიდროლოგიურ მოკლე, საშუალო და გრძელვადიან პროგნოზებს; ამზადებს და ავრცელებს გაფრთხილებებს მოსალოდნელი სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური და მასთან დაკავშირებული გეოლოგიური მოვლენების შესახებ; ახორციელებს შავი ზღვის ბიომრავალფეროვნების კვლევას, სტრატეგიული გარემოსდაცვითი და გარემოზე ზემოქმედების შეფასებას, ჰაერდაცვითი და წყალდაცვითი დოკუმენტაციის შეთანხმებას, ასევე, გარემოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის გამოსასწორებელი ღონისძიებების განსაზღვრას. სააგენტო გასცემს გარემოსდაცვით სფეროში არსებულ ავტორიზაციებს.

შინაარსი

ბუნებრივი საფრთხეების მონიტორინგი	3
ჰიდრომეტეოროლოგიური მონიტორინგი და პროგნოზირება	3
გეოლოგიური მონიტორინგი და საფრთხეების შეფასება.....	6
წყლის რესურსების მონიტორინგი.....	10
მიწისქვეშა წყლები.....	10
ზედაპირული წყლები.....	13
შავი ზღვა.....	15
ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგი.....	18
გარემოსდაცვით სფეროში არსებული ავტორიზაციები	24
გარემოსდაცვითი შეფასება	24
გარემოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის გამოსასწორებელი ღონისძიებები	26
ლიცენზიები და ნებართვები.....	28
საერთაშორისო ურთიერთობები	32
სამომავლო გეგმები	34

ბუნებრივი საფრთხეების მონიტორინგი

კლიმატის გლობალური ცვლილების ფონზე, როგორც მთელ მსოფლიოში, ასევე საქართველოში შეინიშნება სტიქიური მოვლენების სიხშირისა და ინტენსივობის ზრდის ტენდენცია. შესაბამისად, მონიტორინგი და ადრეული გაფრთხილების ეფექტური სისტემის არსებობა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის პრიორიტეტს წარმოადგენს. სააგენტოს ძირითადი ფუნქციებიდან გამომდინარე 2025 წლის განმავლობაში აქტიურად მიმდინარეობდა ამ მიმართულების გაძლიერება.

ჰიდრომეტეოროლოგიური მონიტორინგი და პროგნოზირება


დაკვირვების ქსელის განვითარება

2025 წელს სააგენტოს მიერ განხორციელდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები, რომელთა მიზანი იყო ჰიდრომეტეოროლოგიურ პარამეტრებზე დაკვირვების ქსელის და დაკვირვების მონაცემთა შეკრება/გავრცელების ტექნოლოგიური გაძლიერება, ბუნებრივი ჰიდრომეტეოროლოგიური საფრთხეების შეფასება, ასევე პროგნოზირებისა და ადრეული შეტყობინების სისტემების გაუმჯობესება. 2025 წელს დამონტაჟდა 20 ერთეული მეტეოროლოგიური სადგურ/საგუშაგო (16 ლოკაციაზე ჩანაცვლდა, დამონტაჟდა 4 ახალ ლოკაციაზე) ჯამში ქვეყნის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 270 ერთეული მეტეოროლოგიურ და ჰიდროლოგიურ პარამეტრებზე მიწისპირა დაკვირვების პუნქტი, რაც ხელს უწყობს ამინდის და ჰიდროლოგიური პროგნოზირების ხარისხისა და მოსალოდნელი სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების შესახებ ადრეული გაფრთხილების ეფექტურობის გაზრდას. 2027 წლის ბოლომდე ჰიდრომეტეოროლოგიური სადგურ/საგუშაგოების რაოდენობა 298 ერთეულს მიაღწევს, რაც მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის სტანდარტების მიხედვით მიიჩნევა ოპტიმალურ რაოდენობად.



ფიგურა 1. ბუნებრივი საფრთხეების მონიტორინგი

აღსანიშნავია რომ ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვების საშუალებებს შორის, ქვეყნის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 2 ერთეული მეტეოროლოგიური რადარი (ქუთაისი, თბილისი), 1 ერთეული ატმოსფეროს ვერტიკალური ზონდირების აეროლოგიური სადგური (ფოთი), მეტეოროლოგიური სატელიტური ინფორმაციის მიმღები სადგური.



ჰიდრომეტეოროლოგიური სადგურ/საგუშაგო - **256**
დაგეგმილია დამატებით **30** ერთეულის დამონტაჟება

მეტეოროლოგიური რადარი - 2

აეროლოგიური სადგური - 1

სატელიტური დაკვირვებები

ფიგურა 2. ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვების სისტემები

2025 წლის განმავლობაში ხორციელდებოდა თანამედროვე ჰიდროლოგიური საპროგნოზო და გაფრთხილების სისტემის (Delft-FEWS Georgia) დანერგვის სამუშაოები, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს წყალდიდობის პროგნოზირების შესაძლებლობებს.

საინფორმაციო სატელეკომუნიკაციო სისტემა (ICT)


2025 წლის განმავლობაში ფინეთის მეტეოროლოგიური ინსტიტუტთან და კომპანია *Elko*-სთან თანამშრომლობით აქტიურად მიმდინარეობდა საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) სისტემების დანერგვის პროცესი, რაც ხელს შეუწყობს ოპერატიული პროგნოზირების და გაფრთხილების სისტემის გამართულ ფუნქციონირებას. პროექტის დასრულება დაგეგმილია 2026 წლის პირველ ნახევარში.

ასევე, აქტიურად მიმდინარეობდა ამინდის პროგნოზირების თანამედროვე სისტემის SmartMet - ის და გაფრთხილების შემუშავების და გავრცელების სისტემის SmartMet Alert დანერგვისთვის საჭირო ტრენინგები და ტექნიკური გადამზადება, ფინეთის მეტეოროლოგიის ინსტიტუტის ექსპერტების ჩართულობით. ასევე, მიმდინარეობდა მობილური აპლიკაციის დანერგვის სამუშაოები, რომლის მეშვეობითაც მომავალი წლიდან დაიწყება სინოპტიკური პროდუქტებისა და გაფრთხილებების გავრცელება ფართო მომხმარებელზე, შედეგად, საქართველოს ექნება

მოწინავე ევროპული ქვეყნების მსგავსი ამინდის პროგნოზირებისა და გაფრთხილების გავრცელების სისტემა შესაბამისი მობილური აპლიკაციით. 2026 წლის ზაფხულში სისტემა გახდება საჯაროდ ხელმისაწვდომი.

გლაციალური საფრთხეების შეფასება

შვეიცარიული კომპანია GEOTEST AG-ის მიერ საქართველოს მცინვარებზე ბუნებრივი საფრთხეების გამოვლენის პირველი ეტაპის შემდგომ 2025 წელს განხორციელდა მეორე ეტაპის სამუშაოები რომლის ფარგლებშიც, იდენტიფიცირებულ ცხელ წერტილებზე მომზადდა მოსალოდნელი საფრთხეების დეტალური შეფასება და რეკომენდაციები საპრევენციო ღონისძიებების გატარების მიზნით.




ფიგურა 3 -4. გლაციალური საფრთხეების მონიტორინგი

აღნიშნული, მიზნად ისახავს პერიგლაციალურ ზონებში კლიმატის ცვლილებით გამოწვეული შესაძლო უარყოფითი შედეგების შერბილებას. შესაბამისი მონიტორინგის სისტემების განთავსების პროცედურები 2026 წლიდანვე დაიწყება.

გეოლოგიური მონიტორინგი და საფრთხეების შეფასება

საქართველო გეოლოგიური პროცესების (მეწყერი, ღვარცოფი, კლდეზვავი/ქვათაცვენა და სხვა) განვითარების მასშტაბებით, განმეორებადობის სიხშირით და ქვეყნის მოსახლეობისა და ეკონომიკისადმი მათგან მიყენებული ნეგატიური შედეგებით მსოფლიოს მთიან ქვეყნებს შორის ერთ-ერთი ურთულეს რეგიონს წარმოადგენს.



აღნიშნულის გათვალისწინებით, სააგენტომ ბოლო წლების განმავლობაში გააფართოვა გეოლოგიური მონიტორინგის ქსელი და დღეის მდგომარეობით, ქვეყნის მასშტაბით 18 მეწყერულ სხეულზე დამონტაჟებულია თანამედროვე მონიტორინგის სისტემები, აქედან 11 ინტეგრირებულია ერთიან სერვერულ პლატფორმაზე. 2025 წელს სააგენტოს ბიუჯეტით შესყიდული იქნა მონიტორინგის სისტემები დამატებით 11 მეწყერულ სხეულზე დასამონტაჟებლად. აღნიშნული სამუშაოების (ინსტალაცია, ტრენინგები, მონაცემების მიღება/დამუშავება, ანალიზი და ვალიდაცია) დასრულება დაგეგმილია 2026 წლის პირველ ნახევარში.



ფიგურა 5-6. მონიტორინგული სადგურებიდან მიღებული მონაცემები


2025 წელს, სტიქიური გეოლოგიური (მეწყერი, ღვარცოფი, კლდეზვავ-ქვათაცვენა და სხვა) პროცესების შეფასების მიზნით, საქართველოს ყველა მხარეში ორ ეტაპად (გაზაფხული-შემოდგომის ფორმატში) განხორციელდა ყოველწლიური გეგმური გეოლოგიური მონიტორინგი.

მომზადდა და გამოიცა ყოველწლიური საინფორმაციო გეოლოგიური ბიულეტენი - „საქართველოში 2024 წელს სტიქიური გეოლოგიური პროცესების განვითარების შედეგები და პროგნოზი 2025 წლისთვის“. ბიულეტენში ასახულია ინფორმაცია გეოლოგიური მონიტორინგის და სტიქიის ექსტრემალური გააქტიურების პერიოდში ჩატარებული კვლევების შედეგად დამუშავებული გეოლოგიური საფრთხეების შესახებ. ბიულეტენს ახლავს გეოლოგიური საფრთხეების სპეციალიზებული რუკები, საქართველოს ცალკეული მხარეებისა და მუნიციპალიტეტების მიხედვით.




ფიგურა 7-9. საქართველოში 2024 წელს სტიქიური გეოლოგიური პროცესების განვითარების შედეგები და პროგნოზი 2025 წლისთვის

ქვეყნის სხვადასხვა მუნიციპალიტეტიდან, უწყებებიდან და ცალკეული მოქალაქეებისგან შემოსული წერილების საფუძველზე შედგენილი იქნა **1170** ვიზუალური საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა, სადაც შეფასებულია **2131** დასახლებულ პუნქტში მცხოვრები **4008** მოსახლის (კომლი) საცხოვრებელი სახლის, საკარმიდამო მიწის ნაკვეთის და მიმდებარე ტერიტორიის გეოდინამიკური მდგომარეობა, გადაუდებელი ღონისძიებების გატარების მიზნით განსაზღვრულია საშიშროების რისკი და შესაბამისი რეკომენდაციები, ასევე შეფასებულია **85** ინფრასტრუქტურული ობიექტის გეოდინამიკური და გეოეკოლოგიური მდგომარეობა.



ფიგურა 10. გეოლოგიური მონიტორინგი - გეოლოგიური სტიქიის არეალში შეფასებული ოჯახების (კომლი) საკარმიდამო ნაკვეთების და საცხოვრებელი სახლების რაოდენობა


ქ. თბილისის ტერიტორიაზე განხორციელდა გეგმიური საველე გეოლოგიური მონიტორინგი, რომლის საფუძველზეც მზადდება ყოველწლიური საინფორმაციო გეოლოგიური ბიულეტენი. მიმდინარეობდა ქ. თბილისის გეოლოგიური საფრთხეების (მეწყერი, ღვარცოფი, ქვათაცვენა/კლდეზავი და სხვა) მონაცემთა GIS ბაზის და ზონირების რუკის განახლება. ამასთანავე, მოხდა რეაგირება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსულ კორესპონდენციებზე და მომზადდა შესაბამისი ვიზუალური საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნები, გასატარებელი დამცავი ღონისძიებების რეკომენდაციებით.



ფიგურა 11. ქ. თბილისის გეოლოგიური საფრთხეების (მეწყერი, ღვარცოფი, ქვათაცვენა/კლდეზავი და სხვა) მონაცემთა GIS ბაზა

განხორციელდა გარემოზე შეფასების ანგარიშების, საინჟინრო ობიექტების საპროექტო დოკუმენტაციის და გარემოსდაცვით სფეროში კანონმდებლობის საფუძველზე მიღებული დოკუმენტების გეოლოგიური ნაწილის რეცენზირება, რის საფუძველზეც შენიშვნების და საექსპერტო დასკვნების სახით შედგენილი იქნა **243 დოკუმენტი**.

2025 წელს მომზადდა 1:200 000 მასშტაბის სვანეთის ფურცლის სახელმწიფო გეოლოგიური რუკები და შესაბამისი გეოლოგიური ანგარიში.




ფიგურა 12-13. სახელმწიფო გეოლოგიური რუკები

InSAR (ინტერფერომეტრიული სინთეტური სისტემების რადარი) ტექნოლოგია

დაინერგა InSAR (ინტერფერომეტრიული სინთეტური სისტემების რადარი) ტექნოლოგია რომლის ფარგლებშიც განხორციელდა სატელიტური გამოსახულებების შედარება, მეწყრების იდენტიფიცირება, გადაადგილების სიჩქარის და სხვა მახასიათებლების დადგენა, მეწყრული მოვლენების მონაცემთა ბაზის განახლება.

ეტაპობრივად მიმდინარეობს და გაგრძელდება სხვადასხვა მხარეში იდენტიფიცირებული საფრთხეების სავსე პირობებში შეფასება და შესაბამისი მონაცემთა ბაზის განახლება.



ფიგურა 14-15. InSAR ტექნოლოგიით დაკვირვება

გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) მიერ მხარდაჭერილი პროექტის - „კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციის შესაძლებლობების გაძლიერება საქართველოში“ ფაზა 2 (UNDP/SDC) - ფარგლებში მიმდინარეობდა გეოლოგიური საფრთხეების მონაცემთა ბაზის, კატალოგი-კადასტრის და საფრთხის რუკის შედგენის სამუშაოები (ქობულეთის მუნიციპალიტეტი).



წყლის რესურსების მონიტორინგი

მიწისქვეშა წყლები

ჰიდროგეოლოგიური მონიტორინგის ფარგლებში, მიწისქვეშა მტკნარი სასმელი წყლების მონიტორინგი ავტომატური სადგურებისა და საველე ინსტრუმენტალური დასინჯვების საშუალებით განხორციელდა **124 წყალპუნქტზე** (გეგმიური ჰიდროგეოლოგიური მონიტორინგი - **74 წყალპუნქტზე** და საველე ინსტრუმენტალური კვლევები - **50 წყალპუნქტზე**).

მიწისქვეშა მტკნარი სასმელი წყლების მონიტორინგის ქსელს დაემატა **ორი ახალი ავტომატური სადგური**.



სურათი 1-2. 2025 წელს მოწყობილი მიწისქვეშა მტკნარი სასმელი წყლების მონიტორინგის ქსელის ავტომატური სადგურები

2025 წელს, **74 წყალპუნქტიდან აღებული იქნა 681 სინჯი** ლაბორატორიული ანალიზებისთვის (147 - ქიმიური, 147 - მიკრობიოლოგიური, 158 - მძიმე მეტალების, 82 - ნავთობპროდუქტების და 147 პესტიციდების შემცველობის ანალიზისთვის).

2025 წელს, ჭაბურღილებიდან და წყაროებიდან აღებული სინჯების რაოდენობა მხარეების მიხედვით

მხარე	ქიშია	მიკრობიოლოგია	მძიმე მეტალები	ნავთობპროდუქტები	პესტიციდები	სულ, 2025 წელს ცალკეულ მხარეში
აჭარა	12	12	12	6	12	54
გურია	8	8	8	6	8	38
იმერეთი	10	10	10	7	10	47

მხარე	ქიმიკა	მიკრობი- ოლოგია	მძიმე მეტალები	ნაფთობ- პროდუქ- ტები	პესტიცი- დები	სულ, 2025 წელს ცალკეულ მხარეში
სამეგრელო-ზემო სვანეთი	10	10	11	10	10	51
შიდა ქართლი	4	4	4	2	4	18
ქვემო ქართლი	9	9	9	5	9	41
მცხეთა-მთიანეთი	19	19	19	9	19	85
კახეთი	75	75	85	37	75	347
სულ 2025 წელს:	147	147	158	82	147	681



სურათი 3-4.. მიწისქვეშა წყლების მონიტორინგი

განახლდა მიწისქვეშა წყლების ავტომატური/„ონლაინ“ მონიტორინგის პროგრამული უზრუნველყოფა და მიმდინარეობდა მიწისქვეშა მტკნარი სასმელი წყლების მონიტორინგის ქსელის ავტომატური სადგურებიდან მონაცემების მიღება-კონტროლი.



ფიგურა 16-17. მონიტორინგის მონაცემების მიღება-კონტროლი

დაიწყო მზადება „წყლის რესურსების მართვის შესახებ“ საქართველოს ახალი კანონის თანახმად „განსახორციელებელი სამუშაოებისთვის, ნიტრატებით დაბინძურებული ან დაბინძურების

რისკის ქვეშ მყოფი მიწისქვეშა წყლების იდენტიფიცირების მიზნით. გეგმიური ჰიდროგეოლოგიური მონიტორინგის გარდა, ნიტრატების შემცველობის შესახებ პირველადი მონაცემები შეგროვდა 50 წყალპუნქტზე. (19 ჭაბურღილი, 30 წყარო და 1 საყოფაცხოვრებო ჭა).



სურათი 5-6. ინსტრუმენტული დასინჯვები

**აზოტოვანი ნაერთების საველე-ინსტრუმენტალური კვლევები
მხარეების მიხედვით**

მხარე	წყარო	ჭაბურღილი	საყოფაცხოვრებო ჭა	სულ, ცალკეულ მხარეში
იმერეთი	17	9	1	27
სამეგრელო-ზემო სვანეთი	-	10	-	10
სამცხე-ჯავახეთი	3	-	-	3
შიდა ქართლი	7	-	-	7
მცხეთა-მთიანეთი	3	-	-	3
სულ:	30	19	1	50

მიმდინარეობდა და გრძელდება უახლესი ფაქტობრივი მონაცემებისა და საფონდო-ისტორიული მასალების დამუშავება საინფორმაციო ჰიდროგეოლოგიური შემაჯამებელი ანგარიშის მოსამზადებლად.

ზედაპირული წყლები

ზედაპირული წყლის ხარისხობრივი მონიტორინგის ქსელი მოიცავს როგორც დაკვირვებით, ასევე ოპერაციულ წერტილებს, რაც უზრუნველყოფს წყლის ხარისხის მდგომარეობის სისტემურ დაკვირვებას. სააგენტოს მიერ ზედაპირული წყლის სინჯები აღებული იქნა საქართველოს მდინარეების, ტბებისა და წყალსაცავების **238 წერტილში**. 2025 წლის განმავლობაში აღებული იქნა **2571 ზედაპირული წყლის სინჯი**.

წყლის სინჯებში ისაზღვრებოდა ფიზიკურ-ქიმიური პარამეტრები, მთავარი იონები, ბიოგენური ნაერთები, ჟანგბადის ბიოლოგიური მოხმარება, pH, მძიმე ლითონები და სხვა. ზოგიერთ სინჯში ისაზღვრებოდა ასევე მიკრობიოლოგიური კომპონენტები.

2025 წელს მიწისქვეშა წყლის **73 წერტილში** აღებულ სინჯებში განსაზღვრულია შემდეგი მაჩვენებლები: ფიზიკურ-ქიმიური პარამეტრები, ძირითადი იონები, მინერალიზაცია, მძიმე ლითონები და მიკრობიოლოგიური პარამეტრები.




სურათი 7. ქიმიურ-ფიზიკური პარამეტრების მონიტორინგი

ზედაპირული წყლების ბიოლოგიური მონიტორინგი

2025 წლიდან სააგენტომ დაიწყო წყლის რესურსების ბიოლოგიური მონიტორინგის გაძლიერება (წერტილებისა და პარამეტრების გაზრდა), გაიწერა გეგმა, რომლის შესაბამისადაც ეტაპობრივად დაიფარება 6 მდინარის აუზი.

2025 წელს საპილოტოდ განხორციელდა ზედაპირული წყლის ობიექტების ერთობლივი მონიტორინგი ჭოროხი-აჭარისწყლის აუზში, რომელიც ჰიდრომორფოლოგიური, ბიოლოგიური და ფიზიკურ-ქიმიური პარამეტრების კვლევას ითვალისწინებდა. მაისი-ივნისის პერიოდში საპილოტე არეალის **21 სადგურზე** აღებული იქნა ფიტობენტოსის, მაკროუხერხემლოების და მაკროფიტებისა ნიმუშები.



ფიგურა 18. მდ.ჭოროხი-აჭარისწყლის აუზის ბიოლოგიური მონიტორინგის სადგურების ქსელი.

ნიმუშების აღება განხორციელდა შესაბამისი სტანდარტიზებული მეთოდოლოგიების გამოყენებით. ლაბორატორიული კვლევის ეტაპზე დამუშავდა ნიმუშები და განხორციელდა ტაქსონომიური იდენტიფიკაცია, რაც აუცილებელია ეკოლოგიური ინდექსების სწორად გამოთვლისა და შემდგომი შეფასებისთვის.



სურათი. 8. მდ. ჭოროხი -აჭარისწყლის აუზის ბიოლოგიური მონიტორინგი.

2025 წლის ოქტომბრის თვეში სააგენტომ მდ. ჭოროხი-აჭარისწყლის აუზში განახორციელა იქთიოლოგიური მონიტორინგი წინასწარ შერჩეულ იქთიოლოგიურ სადგურებზე.

აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად შერჩეული იყო 12 იქთიოლოგიური სადგური, თუმცა, ჰაბიტატის ცვლილების, მოდიფიცირების და სტიქიური მოვლენების განვითარების შემდგომ, სამეცნიერო-კვლევითი თევზჭერა განხორციელდა 10 დამოუკიდებელ იქთიოლოგიურ სადგურზე, რომლებიც შერჩეული იყო მეზოჰაბიტატების გათვალისწინებით.

თევზჭერა განხორციელდა სტანდარტიზებული სამეცნიერო კვლევითი ელექტრომოკური აპარატით “Smith-Root LR24”, რაც უზრუნველყოფდა სხვადასხვა ტიპის ჰაბიტატებში თევზის უსაფრთხო და ეფექტურ მოპოვებას. მონიტორინგის შედეგად მოპოვებული იქნა იქთიოფაუნის სხვადასხვა სახეობები, რომლებიც საჭირო მორფო-მეტრიული პარამეტრების გაზომვის შემდეგ უვნებლად დაუბრუნდნენ გარემოს.



სურათი 9. მდ.ჭოროხი-აჭარისწყლის აუზის იქთიოლოგიური მონიტორინგი.

ამრიგად, მდინარე ჭოროხი-აჭარისწყლის აუზზე განხორციელებული ბიოლოგიური მონიტორინგის აღნიშნული ეტაპი სრულად იყო ორიენტირებული ბიოლოგიური ხარისხის ელემენტების ტაქსონომიურ კვლევაზე. მიღებული შედეგები წარმოადგენს საწყის, მაგრამ კრიტიკულად მნიშვნელოვან მონაცემთა ბაზას, რომლის საფუძველზეც მომდევნო ეტაპზე განხორციელდება წყლის ობიექტების ეკოლოგიური სტატუსის შეფასება.

შავი ზღვა

ქიმიურ-ფიზიკური პარამეტრების მონიტორინგი



სურათი 10. შავი ზღვის მონიტორინგი

აღსანიშნავია, რომ 2025 წელს შავი ზღვის მონიტორინგის წერტილები 12-დან 14-მდე გაიზარდა და მონიტორინგი უწყვეტ რეჟიმში, ყოველთვიურად ტარდებოდა. ისაზღვრებოდა ზღვის წყლის ფიზიკურ-ქიმიური პარამეტრები.


შავი ზღვის საქართველოს სანაპიროს ბიოლოგიური მონიტორინგი

შავი ზღვის საქართველოს სანაპიროს ბიომრავალფეროვნების შესწავლისა და გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობის შეფასების მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მეთევზეობის, აკვაკულტურისა და წყლის ბიომრავალფეროვნების დეპარტამენტი ახორციელებს ყოველწლიურ მონიტორინგს სარფი-ანაკლიის საზღვაო აკვატორიაში. კვლევები ტარდება როგორც სეზონურ, ისე წლიურ მონიტორინგის სადგურებზე.

2025 წელს განხორციელდა სეზონური ჰიდრობიოლოგიური და ყოველთვიური მიკრობიოლოგიური მონიტორინგი შავი ზღვის საქართველოს სანაპირო ზოლში განთავსებულ 10 სადგურზე (სურ.12)

შავი ზღვის საქართველოს სანაპიროს კომპლექსური ეკოლოგიური მონიტორინგის მიზნით 2025 წლის სექტემბერში მოეწყო 5 -დღიანი საზღვაო ექსპედიცია გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ დაქირავებული სეინერით. მონიტორინგის სადგურები შერჩეული იქნა ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარე პროექტების — „ევროკავშირის წყლის ინიციატივა პლუს“ (EUWI+) და „ევროკავშირი გარემოსათვის – წყლის რესურსები და გარემოსდაცვითი მონაცემები“ (EU4Environment – Water and Data, EU4WD) — რეკომენდაციების საფუძველზე, ევროკავშირის წყლის ჩარჩო დირექტივის (WFD) მოთხოვნათა შესაბამისად.

სადგურები განლაგებულია შავი ზღვის საქართველოს სანაპიროს ერთმილიან ზონაში, სარფიდან ანაკლიამდე, სხვადასხვა სიღრმეებზე (5მ-დან 50მ-მდე). აღსანიშნავია, რომ ყოველწლიურად ხდება მონიტორინგის ქსელის გაფართოება — მიმდინარე წელს კვლევები განხორციელდა 12 წყლის ობიექტზე, სადაც განლაგებულია 18 მონიტორინგის სადგური (სურ.13). აღნიშნულ სადგურებზე აღებულია დაახლოებით 200-მდე წყლისა და გრუნტის ბიოლოგიური ნიმუში.



ფიგურა 19-20. შავი ზღვის საქართველოს სანაპიროსა და კონტინენტური შელფის ბიოლოგიური მონიტორინგის ქსელი.

2025 წლის განმავლობაში შავი ზღვის საქართველოს სანაპირო წყლებში ჯამურად აღებულ იქნა 400-ზე მეტი ბიოლოგიური ნიმუში და შესწავლილ იქნა წყლის პლანქტონური და ფსკერული თანასაზოგადოებები. ამ ეტაპზე მიმდინარეობს აღებული სინჯების დამუშავება სააგენტოს ლაბორატორიებში და შესაბამისი მონაცემთა ბაზების განახლება (სურ.14). მიღებული შედეგების საფუძველზე განისაზღვრება ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლები შემდეგი ბიოლოგიური ხარისხის ელემენტებისთვის: ბაქტერიოპლანქტონი, ფიტოპლანქტონი, ზოოპლანქტონი, მაკროზოობენტოსი და მაკროფიტობენტოსი.



სურათი 11. შავი ზღვის საქართველოს სანაპიროს ბიოლოგიური მონიტორინგი

აღნიშნული კვლევების მიზანია ევროკავშირის საზღვაო სტრატეგიის ჩარჩო დირექტივისა (MSFD) და წყლის ჩარჩო დირექტივის (WFD) მოთხოვნებთან შესაბამისობაში, საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზონისა და საზღვაო ეკოსისტემების გარემოსდაცვითი მონიტორინგის სისტემის გაძლიერება და საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოება.

შავი ზღვის ბიოლოგიური რესურსების მონიტორინგი

სააგენტო ყოველწლიურად ახორციელებს საქართველოს საზღვაო სივრცეში ძირითადი სარეწაო თევზებისა და სხვა ჰიდრობიონტების რესურსების შეფასებას და სარეწაო პროგნოზირებას.

2025 წელს სააგენტომ განახორციელა 21 საზღვაო ექსპედიცია სააგენტოს მიერ დაქირავებული თევზსაჭერი სეინერით. ფსკერული სარეწაო სახეობების (ხონთქარა, მერლანგი, კამბალა) შესწავლის მიზნით ჩატარდა დემერსალური კვლევები გაზაფხულის და შემოდგომის სეზონებზე სტანდარტიზებული დემერსალური (ფსკერული) ტრალის გამოყენებით, iBotS-ის მეთოდოლოგიის შესაბამისად, რომელიც შემუშავებულია ხმელთაშუა ზღვის მეთევზეობის გენერალური კომისიის (GFCM) მიერ და ადაპტირებულია შავი ზღვისთვის. პელაგიური

სარეწაო თევზის რესურსის შესაფასებლად შავი ზღვის საქართველოს სანაპირო წყლებში 2025 წელს ჩატარდა სამი ჰიდროაკუსტიკური გადაღება, პორტატული სამეცნიერო ექოსაუნდერის BioSonics-ის და ტრალის პოზიციონირებისა და მონიტორინგის სრული უსადენო სისტემის (Notus) გამოყენებით. მიღებული აკუსტიკური მონაცემები დამუშავდა ლიცენზირებული პროგრამა EchoView-ის საშუალებით, რაც უზრუნველყოფს მაღალი სიზუსტის შედეგების მიღებას და ანალიზს. კვლევები მოიცავდა შემდეგი პელაგიური სახეობების შესწავლას: ქაფშია, სტავრიდა, ქარსალა.



სურათი 12. შავი ზღვის საქართველოს სანაპიროს ბიოლოგიური რესურსების მონიტორინგი

კვლევის შედეგად სარეწაო სახეობების შესახებ მიღებული იქნა დეტალური ბიოლოგიური და რაოდენობრივი მონაცემები, მომზადდა მონაცემთა ბაზა, რომელიც გამოყენებული იქნა თევზის რესურსების მარაგების მდგომარეობის შეფასებისა და პროგნოზირებისთვის 2025-2026 წწ სარეწაო სეზონისთვის.


მომზადდა შავი ზღვის საქართველოს სანაპიროს 2025-2026 წწ სარეწაო სეზონის სამრეწველო თევზჭერის კვოტების ანგარიში. აღნიშნული სარეწაო სეზონისთვის ჭერილის დასაშვები ოდენობა განისაზღვრა შვიდ სარეწაო ობიექტზე (ქაფშია, სტავრიდა, ხონთქარა, მერლანგი, პელამიდა, კამბალა და რაპანა), მათ შორის ძირითადი სარეწაო რესურსის - შავი ზღვის ქაფშიას მოსაპოვებელ კვოტამ შეადგინა **65000 ტონა**.

ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგი

ჰაერის ხარისხის მონიტორინგი ხორციელდება ქვეყნის მასშტაბით განთავსებული **15 სტაციონარული და 3 მობილური სადგურის** საშუალებით. ქსელი მოიცავს, როგორც ქალაქის ურბანულ ფონურ, ტრანსპორტზე ორიენტირებულ და ასევე არაურბანულ ფონურ სადგურებს.

ატმოსფერული ჰაერის ხარისხის უწყვეტი მონიტორინგი ავტომატური სადგურების საშუალებით ხორციელდება თბილისში, რუსთავში, ბათუმში, ქუთაისში, თელავში,

ახალციხეში, მესტიასა და ზუგდიდში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ავტომატური სადგურების საშუალებით, რომლებიც ახორციელებენ ატმოსფერული ჰაერის ხარისხის 24 საათიან მონიტორინგს.




ფიგურა 21. ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგი

ქვემოთ მოცემულია სადგურების განთავსების ლოკაციები:

1. ქ. თბილისი - წერეთლის გამზ. N105;
2. ქ. თბილისი - ყაზბეგის გამზ. ვ. გომიაშვილის სახელობის განახლებული პარკი;
3. ქ. თბილისი - ვარკეთილი 3, IIIა მ/რ, N325-ის მიმდებარედ;
4. ქ. თბილისი - აღმაშენებლის გამზ. 73ა, "ილიას ბაღი";
5. ქ. თბილისი - მარშალ გელოვანის გამზირი №34;
6. ქ. რუსთავი - მეგობრობის გამზ. №35ა, №20 საჯარო სკოლის ეზო;
7. ქ. რუსთავი - ბათუმის ქ. N19
8. ქ. ქუთაისი - ლადო ასათიანის ქ. 98;
9. ქ. ქუთაისი - ნინოშვილის ქუჩისა და დ. აღმაშენებლის გამზირის გადაკვეთა (ბაღი);
10. ქ. ბათუმი - აბუსერიძის ქუჩა N1;
11. ქ. ბათუმში - „ბათუმის ცენტრალური პარკი“;
12. ქ. ზუგდიდი - რუსთაველის ქუჩა №192, №3 საჯარო სკოლის ეზო;
13. ქ. ახალციხე - ასპინძის ქუჩა №18, №2 საჯარო სკოლის ეზო;
14. ქ. თელავი - კვირიკე დიდის ქუჩა №43, №5 საჯარო სკოლის ეზო;
15. მესტია - დაბა მესტია.

ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის ავტომატურ სადგურებზე ისაზღვრება სხვადასხვა დამაბინძურებლების კონცენტრაციები: მყარი ნაწილაკები (PM10, PM2,5), აზოტის ოქსიდები (NO, NOx, NO2), გოგირდის დიოქსიდი (SO2), ნახშირბადის მონოქსიდი (CO) და ოზონი (O3).

2025 წელს გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის ფარგლებშიც დონორული მხარდაჭერით, დაგეგმილია მონიტორინგის არსებული ქსელის გაფართოება და **10 ავტომატური სადგურის** განთავსება შემდეგ ქალაქებში: ფოთში (ფონური), ოზურგეთში (ფონური), ზესტაფონში (სამრეწველო და ფონური), თაზაქენდში (სამრეწველო), გორში (საგზაო მოძრაობაზე ორიენტირებული), ბოლნისში (ფონური), სიღნაღში (ფონური), ჭიათურასა (ფონური) და ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში (ფონური). 2025 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა აღნიშნული ლოკაციების სააგენტოსთვის გადმოცემის და კომუნიკაციების (ელ. ენერჯია, ინტერნეტი) მოწყობის სამუშაოები. დამატებითი სადგურების განთავსება დასრულდება 2026 წლის ზაფხულში. შედეგად, ქვეყანას ექნება 25 სტაციონალური და 3 მობილური სადგურისგან შემდგარი ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის ქსელი.



 არსებული სადგურები


 ახალი სადგურები

ფიგურა 22. ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის ავტომატური სადგურები


გარდა ზემოაღნიშნულისა, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო კომპეტენციის ფარგლებში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის დადგენის მიზნით საქართველოს ტერიტორიაზე 32 ქალაქში (თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, რუსთავი, ზესტაფონი, თელავი, ზუგდიდი, გორი, ახალციხე, ფოთი, სამტრედია, ხაშური, სენაკი, ოზურგეთი, კასპი, მცხეთა, ჭიათურა, ლანჩხუთი, საჩხერე,

ტყიბული, ლენტეხი, მარნეული, ბოლნისი, სიღნაღი, ყაზბეგი, ქობულეთი, ლაგოდეხი, საგარეჯო, ახალქალაქი, გარდაბანი, ურეკი, ხობი) ოთხ ეტაპად (მარტი, ივნისი, სექტემბერი, ნოემბერი) ატარებს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ინდიკატორულ გაზომვებს, რომლის დროსაც ისაზღვრება ბენზოლის, აზოტის დიოქსიდისა და ოზონის კონცენტრაციები. 2026 წელს ინდიკატორული გაზომვები დამატებით კიდევ 16 ქალაქში ჩატარდება.

მიღებული მონაცემები ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შესახებ ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის პორტალზე air.gov.ge.



ინდიკატორული გაზომვები



ფიგურა 23. ჰაერის ხარისხის ინდიკატორული გაზომვები

ატმოსფერული ჰაერის, წყლისა და ნიადაგის ანალიზის ლაბორატორია

ატმოსფერული ჰაერის, წყლისა და ნიადაგის ანალიზის ლაბორატორიამ წარმატებით გაიარა აკრედიტაციის გეგმიური მონიტორინგი განახლებული სსტ ისო/იეკ 17025:2017/2018 სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად. მიმდინარეობდა მუშაობა აკრედიტაციის სფეროს გაფართოების მიზნით.



სურათი 12. ატმოსფერული ჰაერის, წყლისა და ნიადაგის ანალიზის ლაბორატორია

2025 წელს შემოსულია ნიადაგის სინჯები 65 ქალაქიდან.

2025 წლის ნოემბერში საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცდა - ნიადაგის დაბინძურების ხარისხის ტექნიკური რეგლამენტი, რომლის მიზანია მდგარდი განვითარების პრინციპების გათვალისწინებით ნიადაგის ხარისხის დაცვა და დამაბინძურებლების ნიადაგში მოხვედრის თავიდან აცილება ან/და შეზღუდვა. აღნიშნული ტექნიკური რეგლამენტი ადგენს ნიადაგის დაცვის ჰიგიენურ მოთხოვნებს იმ სასოფლო-სამეურნეო და სხვა სახის საქმიანობის არაკეთილსასურველ ზემოქმედებებისგან, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს მათი სამეურნეო - საყოფაცხოვრებო მიზნებისთვის გამოყენების შეზღუდვა და/ან უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს მოსახლეობის ჯანმრთელობაზე.

მნიშვნელოვანია, რომ 2025 წელს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრთან კოორდინაციით განხორციელდა გარემოში ტყვიის კვლევის პროგრამა ბენეფიციარებთან შემდეგ რეგიონებში: იმერეთი, აჭარა, გურია, სამეგრელო-ზემო სვანეთი და ქალაქ თბილისში. აღებული იქნა: წყლის, ატმოსფერული ჰაერის და ნიადაგის სინჯები, რომლებშიც განისაზღვრა ტყვიის შემცველობა.



სურათი 13. ატმოსფერული ჰაერის, წყლისა და ნიადაგის ანალიზის ლაბორატორია

2025 წელს შესყიდული იქნა ულტრათანამედროვე, მაღალტექნოლოგიური ხელსაწყოები: ხელსაწყო ბიოგენური ელემენტების განსაზღვრისთვის; ექტრაქტორი - ამორთქლებელი მოწყობილობით, რომელიც უზრუნველყოფს ორგანული ნივთიერებების აქტიური კომპონენტების გამოწვლილვას წყლის ნიმუშებიდან; ჟბმ/ჟქმ-ის განსაზღვრის ავტომატური ხელსაწყო, რომელიც საზღვრავს ჟანგბადის ბიოლოგიური მოთხოვნას და ჟანგბადის ქიმიურ მოთხოვნას. აღნიშნული ინიციატივა ხელს შეუწყობს ევროკავშირის წყლის დირექტივების მოთხოვნების ეფექტიან დანერგვას და საქართველოს კანონმდებლობის შესრულების უზრუნველყოფას.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მომართვის საფუძველზე (49 მომართვა) კომპეტენციის ფარგლებში, შესრულდა სხვადასხვა სახის საველე და ლაბორატორიული სამუშაოები. სულ ლაბორატორიაში შემოტანილი იქნა 91 სინჯი.

2025 წლის განმავლობაში, ქ. თბილისში, სხვადასხვა ლოკაციაზე აღებული იქნა ატმოსფერული ჰაერის 48 სინჯი, მასში აზბესტის შემცველობის განსაზღვრის მიზნით. კვლევის შედეგად სინჯებში აზბესტის ბოჭკოები არ აღმოჩნდა.


გარემოსდაცვით სფეროში არსებული ავტორიზაციები

გარემოსდაცვითი შეფასება

2025 წელს გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ მომზადდა და გაიცა შემდეგი გადაწყვეტილებები, დასკვნები და რეკომენდაციები:

- 3 სგშ-ის სკოპინგის დასკვნა
- 10 სგშ-ის რეკომენდაცია
- 168 გზშ-ის სკრინინგის გადაწყვეტილება
- 73 გზშ-ის სკოპინგის დასკვნა
- 65 გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება

გადაწყვეტილებების/დასკვნების სტატისტიკა (2015-2025)



ფიგურა 24. გადაწყვეტილებების / დასკვნების სტატისტიკა (2015 – 2025)

2025 წლის 1 აგვისტოდან „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში“ შეტანილი იქნა შემდეგი ძირითადი ცვლილებები:

მკაფიოდ გაიწერა გზშ-ის პროცედურები და ეტაპები, მათ შორის, დაზუსტდა ადმინისტრაციული წარმოებების შეჩერებისა და შეწყვეტის საფუძვლები, ვადები და წესი; შემოღებული იქნა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მქონე საქმიანობაში ცვლილების განხორციელების ახალი, უფრო მარტივი და მოკლე (40-45 დღე) პროცედურა;

დაზუსტდა გზშ-ს პროცედურებს დაქვემდებარებული საქმიანობების ჩამონათვალი (ცალკეული საქმიანობები აღარ დაექვემდებარა გზშ-ს, ან დაექვემდებარა სკრინინგის

პროცედურას, დაზუსტდა გზშ-ს და სკრინინგის პროცედურებს დაქვემდებარებული გარკვეული საქმიანობების ახალი ზღვრები/ლიმიტები);

გაიზარდა სკოპინგის დასკვნის მოქმედების ვადა (5 წელი, ნაცვლად 3 წლისა);

გაიზარდა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ საქმიანობის დასაწყებად დაწესებული ვადა (7 წელი, ნაცვლად 5 წლისა);

დადგინდა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის ახალი ვადა (85-90 დღე) და შემოღებული იქნა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების დაჩქარებული წესით (51-55 დღე) მიღების შესაძლებლობა, დაჩქარებული მომსახურების საფასურის (15 000 ლარი) საფუძველზე;

დაზუსტდა გზშ-ს პროცედურებს დაქვემდებარებული საქმიანობების ჩამონათვალი (ცალკეული საქმიანობები აღარ დაექვემდებარა გზშ-ს, ან დაექვემდებარა სკრინინგის პროცედურას, დაზუსტდა გზშ-ს და სკრინინგის პროცედურებს დაქვემდებარებული გარკვეული საქმიანობების ახალი ზღვრები/ლიმიტები);

სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ვალდებულებისგან გათავისუფლდა განაშენიანების დეტალური გეგმები;

შესაბამისად, ცვლილებების შედეგად გამარტივდა და უფრო ეფექტიანი და ადვილად პროგნოზირებადი გახდა „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ გათვალისწინებული გზშ-ის პროცედურების ეტაპები და მათი დასრულების ვადები. ზოგიერთი საქმიანობა/პროექტი საერთოდ გათავისუფლდა გზშ-ის რეგულაციებისგან, ხოლო გარკვეული საქმიანობები მოექცა სკრინინგის პროცედურის ფარგლებში. გაიზარდა გაცემული გადაწყვეტილებების (სკოპინგის დასკვნა, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება) გამოყენების ვადები და ა.შ. აქედან გამომდინარე, შეიქმნა გზშ-ის დაქვემდებარებული ეკონომიკური საქმიანობების მოკლევადიანი/გრძელვადიანი დაგეგმვის უკეთესი პირობები და აღნიშნული საქმიანობების და არსებულ საქმიანობებში ცვლილებების უფრო მოკლე ვადებში განხორციელების შესაძლებლობა.

საქართველოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში“ 2025 წლის 26 ივნისს განხორციელებული ცვლილებების თანახმად - სააგენტოს გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტს დაემატა საჯარო განხილვების სამმართველო და ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შეფასების სამმართველო, შესაბამისად სააგენტოს საქმიანობას დაემატა ბიოლოგიურ მრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შეფასება და მასთან დაკავშირებული საკითხები, ასევე, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული გადაწყვეტილებების მიღებისას საზოგადოების მონაწილეობის/ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და საჯარო განხილვების ჩატარების უზრუნველყოფა.

გარემოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის გამოსასწორებელი ღონისძიებები

სააგენტოში გარემოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის გამოსასწორებელი ღონისძიებების განსაზღვრის მიზნით მიმდინარეობდა/მიმდინარეობს 26 საქმის ადმინისტრაციული წარმოება მათ შორის:

- ❖ 8 - მიწისთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანი (დეგრადაცია);
- ❖ 15 - ზედაპირული წყლის ობიექტებისთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანი (დაბინძურება);
- ❖ 3 - ბიომრავალფეროვნებისა და მიწისთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანი.

აღნიშნული ადმინისტრაციული წარმოებების პროცესში განხილული იქნა ბოლნისისა და დმანისის მუნიციპალიტეტებში დაზიანებული მიწების (სახელმწიფო ტყის 21.5 ჰა მიწა) გამოსასწორებელი ღონისძიებების განახლებული გეგმის 3 პროექტი და ზედაპირული წყლის ობიექტების (მდ. მაშავერა, მდ. კაზრეთულა, მდ. ფოლადაური) გამოსასწორებელი ღონისძიებების განახლებული გეგმის 2 პროექტი. ამასთან, ადმინისტრაციული წარმოებების ფარგლებში, გეგმების პროექტებთან დაკავშირებით მომზადდა შენიშვნები/წინადადებები და წარედგინათ გარემოსთვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელ პირებს;


განხილული იქნა გარემოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის (შუახევის მუნიციპალიტეტში - 0.4025 ჰა „ზურმუხტის ქსელის“ ტერიტორიის ფარგლებში მოქცეული მიწის დეგრადაცია (1 შემთხვევა), ბორჯომის მუნიციპალიტეტში - სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1.86 ჰა მიწის დეგრადაცია, სახელმწიფო ტყის 4.8 ჰა მიწის დეგრადაცია, სახელმწიფო ტყის 6.25 ჰა ფართობის განადგურება (ტყის ფუნქციის დაკარგვა) (1 შემთხვევა), ონის მუნიციპალიტეტი - სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 0.4243 ჰა მიწის სრული დეგრადაცია, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 0.794 ჰა მიწის დეგრადაცია, სახელმწიფო ტყის 0.2894 ჰა მიწის დეგრადაცია და სახელმწიფო ტყის 4.13 ჰა ფართობის განადგურება (ტყის ფუნქციის დაკარგვა) (1 შემთხვევა), ჭიათურის და ამბროლაურის მუნიციპალიტეტებში - ზედაპირული წყლის ობიექტების (მდ. ყვირილა, მდ. შუა ღელე) დაბინძურება (2 შემთხვევა)) პირვანდელ მდგომარეობაში და პირვანდელ მდგომარეობასთან მიახლოებულ მდგომარეობამდე აღდგენის შესაძლებლობის/შეუძლებლობის საკითხები, მომზადდა შესაბამისი შენიშვნები/წინადადებები/გადაწყვეტილებები და წარედგინათ გარემოსთვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებისთვის პასუხისმგებელ პირებს;

ჭიათურის მუნიციპალიტეტში მიწისთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის პირვანდელ მდგომარეობაში და პირვანდელ მდგომარეობასთან მიახლოებულ მდგომარეობამდე აღდგენის შესაძლებლობის/შეუძლებლობის საკითხზე შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისთვის, განხორციელდა საველე გასვლა და აღნიშნული დაზიანებული ტერიტორიის ადგილზე იდენტიფიცირება, დათვალიერება და არსებული მდგომარეობის შესწავლა.



სურათი 14 - 16. გარემოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის გამოსასწორებელი ღონისძიებების განსაზღვრა

განხილული იქნა ზესტაფონის და თერჯოლის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე ზედაპირული წყლის ობიექტებისთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის 2 შემთხვევა (მდინარეების დაბინძურება). ამასთან, ზიანის გამოსასწორებელი სანაცვლო/ადეკვატური ღონისძიებების გასატარებლად, მდ. ყვირილას და მდ. წყალწითელას ხეობებში, კამერალური წესით მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე, იდენტიფიცირებული იქნა სავარაუდო აღსადგენი/გამოსაკვლევ ტერიტორიები. საველე გასვლების ფარგლებში, ადგილზე მოხდა აღნიშნული ტერიტორიების შესწავლა, შეფასება და მოპოვებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე, განხორციელდება შესაბამისი ტერიტორიებისა და გამოსასწორებელი ღონისძიებების ალტერნატივების შერჩევა.



სურათი 17- 19. გარემოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის გამოსასწორებელი ღონისძიებების განსაზღვრა

2025 წელს შეთანხმდა ბოლნისისა და დმანისის მუნიციპალიტეტებში მიწისთვის (სახელმწიფო ტყის მიწა - 2 გეგმის პროექტი) და წყლისთვის (მდ. კაზრეთულა, მდ. მაშავერა, მდ. ფოლადაური - 2 გეგმის პროექტი) მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანისთვის დაკისრებული მკაცრი გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის ფარგლებში წარმოდგენილი გამოსასწორებელი ღონისძიებების გეგმების პროექტები.

ლიცენზიები და ნებართვები

საქართველოს მთავრობის 2025 წლის 17 მარტის №76 დადგენილებით დამტკიცდა საქართველოს საზღვაო წყლებში აკვაკულტურისათვის გამოყოფილი ზონების მართვის გეგმა როგორც თევზის, ასევე მოლუსკების ზონებისთვის.

2025 წლის განმავლობაში, აკვაკულტურის კანონმდებლობის დახვეწის მიზნით პერიოდულად იმართებოდა შეხვედრები აკვაკულტურის ასოციაციებთან და სამინისტროს შესაბამისი უწყებების წარმომადგენლებთან.

სააგენტომ დაიწყო მუშაობა საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების, თევზჭერის სერტიფიკატის გაცემის ახალი სისტემის დანერგვისა (CATCH) და შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავების მიმართულებით.

გარდა ამისა, შავი ზღვის საერთო დღის წესრიგის (Common Maritime Agenda for the Black Sea - CMA) იმპლემენტაციის ხელშეწყობის მიზნით, შავი ზღვის ქვეყნებში, ევროკავშირის მიერ შეიქმნა „ეროვნული ჰაბები“. საქართველოს “ჰაბის” მიერ მომზადებული, მათი საქმიანობის, გზამკვლევი ასახავს ქვეყნისთვის არსებულ ისეთ პრიორიტეტულ მიმართულებებს, რომელიც პასუხობს CMA-ს მიზნებს, მათ შორისაა მეთევზეობა და აკვაკულტურა. საერთო საზღვაო დღის წესრიგის ფარგლებში, ეროვნული ჰაბის აქტივობებში აკვაკულტურასა და თევზჭერაში დაგეგმილია თანამშრომლობა ადმინისტრაციული პროცედურების გამარტივების და თევზჭერის სერტიფიკატის დანერგვის ხელშეწყობის მიზნით, ცნობიერების ამაღლება შესაბამისი უწყებებისა და ექსპორტიორების მონაწილეობით, ასევე თანამშრომლობა აღნიშნულ სექტორში სამომავლო ღონისძიებების თაობაზე ინფორმაციის გაზიარებით.

2025 წელს შემუშავდა „აკვაკულტურის შესახებ“ კანონში, „აკვაკულტურის ნებართვის მფლობელების ანგარიშების ფორმების დამტკიცების მიმართულებით შესატანი ცვლილების კანონპროექტი, რაც შემდგომში უზრუნველყოფს ანგარიშგების პროცესის გამარტივებას.

2025 წელს მომზადდა და წარდგენილია კანონპროექტი საქართველოს მთავრობის 2007 წლის 6 თებერვლის N21 დადგენილებაში „ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩისა და „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესისა და პირობების თაობაზე დებულების დამტკიცების შესახებ“ ცვლილებების შეტანის თაობაზე.

გარემოსდაცვითი სფერო ავტორიზაციების ახალი მიმართულებები

2025 წლის ივნისი - სექტემბრის პერიოდში სააგენტოში ჩატარდა რეორგანიზაცია რომლის ფარგლებში განხორციელდა სამინისტროს მთელი რიგი ფუნქციების სსიპ გარემოს ეროვნულ

სააგენტოში გადმოტანა. კერძოდ, სამინისტროს დარგობრივი სტრუქტურული ქვედანაყოფებიდან: ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტის, გარემოსა და კლიმატის ცვლილების დეპარტამენტის და ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის დეპარტამენტის პოლიტიკის აღსრულებასთან დაკავშირებული ფუნქციები გადმოვიდა სააგენტოში:

- ავტომობილის გაფრქვევების (გამონაბოლქვის) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ზღვრულ ნორმებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მომზადება;
- „ოზონის შრის დამშლელი ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების/მაცივარაგენტების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვის შესახებ (ძირითადი მომხმარებლები სამაცივრო სისტემები ჰაერის კონდიცირება) განცხადებების განხილვა და შესაბამისი ბრძანების პროექტის მომზადება;
- გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი ცხოველების/ფრინველების (მაგ. შევარდენი, თუთიყუში) სახეობების, მათი ნაწილებისა და დერივატების ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტისა და ზღვიდან ინტროდუქციის ნებართვის გაცემა; ზემოაღნიშნულ დანართებში შეყვანილი სახეობების (CITES) წარმოშობის, რეექსპორტის და ტყვეობაში გამრავლების/ხელოვნურად მოშენების სერტიფიკატის გაცემა;
- თევზსამეურნეო მართვის გეგმების დამტკიცება;
- ცოცხალი გენმოდირებული ორგანიზმების გამოყენების ლიცენზიის გაცემა და ტრანზიტზე თანხმობის გაცემა;
- სამეცნიერო-კვლევითი მიზნით ცხოველთა სამყაროს ობიექტების გარემოდან ამოღების რეგულირება;
- ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებებთან - ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული საქმიანობების რეგისტრაცია; ტრანსსასაზღვრო გადაზიდვებთან დაკავშირებული დოკუმენტების განხილვა და შესაბამისი პასუხის მომზადება / ბაზელის კონვენციით გათვალისწინებული პროცედურების წარმოება; არსებული ნაგავსაყრელების შესაბამისობისა და დახურვის მართვის გეგმების განხილვა; კომპანიების ნარჩენების მართვის გეგმების განხილვა და შეთანხმება; ნარჩენების მართვის ელექტრონული სისტემის მართვა.
- „წითელი წიგნისა და წითელი ნუსხის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი გარეული ცხოველების და ველური მცენარეების ან მათი ნაწილების მოპოვებაზე (ბუნებრივი გარემოდან ამოღებაზე) თანხმობის გაცემის საკითხზე სააგენტოს გადაწყვეტილების მომზადება;

- მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (მგვ): (ნარჩენების მართვის მოდელი, რომელიც მოიცავს მწარმოებლის პასუხისმგებლობას საკუთარ პროდუქტზე, ამ პროდუქტის მოხმარების შემდგომ ეტაპზეც, პროდუქტის სრული სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში, ამ პროდუქტის ნარჩენის მენეჯმენტის ჩათვლით) ორგანიზაციების (პასუხისმგებელია მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების შესრულებისთვის) ავტორიზაცია (შემოსული განაცხადების განხილვა, შეფასება, შენიშვნების და წინადადებების მომზადება, დასკვნების და შესაბამისი გადაწყვეტილებების პროექტების მომზადება); ორგანიზაციების ანგარიშების განხილვა; მომავალი კალენდარული წლის სამოქმედო გეგმის განხილვა და შეთანხმება; წლიური ანგარიშის მომზადება (სპეციფიკური ნარჩენების ნაკადების მიხედვით); ელექტრონული რეესტრის წარმოება; პროდუქციისა და მისგან წარმოქმნილი ნარჩენების აღრიცხვისა და მონაცემთა ბაზის წარმოებისა და მართვა(ნარჩენების ნაკადების მიხედვით); მგვ-ის ელექტრონული რეესტრის წარმოება - waste.mepa.gov.ge;
- Euro 5. — ავტომობილების ემისიის სტანდარტები - საქართველოს მთავრობის №238 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის (2023 წლის 28 ივნისიდან ძალაშია „ტექნიკური რეგლამენტის – ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებით დამაბინძურებელი სხვადასხვა სახეობის სატრანსპორტო და სხვა მოძრავ-მექანიკური საშუალებებიდან გაფრქვევის (გამონაბოლქვის) ევროკავშირის კანონმდებლობით გათვალისწინებული ზღვრულად დასაშვები ნორმების საქართველოს ტერიტორიაზე სამოქმედოდ შემოღების შესახებ“ დამტკიცების თაობაზე) თანახმად, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო წარმოადგენს უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელიც გასცემს დასკვნას ავტომობილის გაფრქვევების (გამონაბოლქვის) ზღვრული ნორმების ამ რეგლამენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადასტურების შესახებ. სერვისის მიზანია ჰაერის ხარისხის გაუმჯობესება და ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება.

2025 წლის 21 ოქტომბრის N471 დადგენილებით, საქართველოს მთავრობის №502 დადგენილებაში შევიდა ცვლილება, რომლის თანახმად, ზემოაღნიშნული სერვისებისთვის დაწესდა მომსახურების საფასური.

2025 წლის განმავლობაში:

- ✓ გაიცა 30 აკვაკულტურის ნებართვა, მათ შორის ერთი ნებართვა გაიცა შავ ზღვაში აკვაკულტურის საქმიანობის განხორციელების მიზნით, ასევე გაიცა 1 ექსტენსიური აკვაკულტურის ნებართვა;
- ✓ შიდა წყალსატევზე (6) და შავ ზღვაში (9) დამტკიცდა თევზჭერის კვოტები;
- ✓ გამოცხადდა აუქციონი ტყის ტერიტორიაზე აკვაკულტურის ნებართვის გაცემის მიზნით;

- ✓ დამტკიცდა „ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩისა და გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით სარგებლობის **12 კვოტა**, მათ შორის **6 ლიცენზიას** გაუკეთდა მონაცვლეობა.
- ✓ **15** სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიისთვის დამტკიცდა ცხოველთა სამყაროს ობიექტებით სარგებლობის კვოტები.
- ✓ „ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩისა და გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზია:
 - გაიცა ექსპორტის მიზნით თეთრყვავილას ბოლქვების სარგებლობის **2 ლიცენზია**
 - გაიცა ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩით სარგებლობის **1 ლიცენზია**
- ✓ 2025 წელს განხორციელდა კვლევები სახელმწიფო ტყის ტერიტორიებზე სოჭის გირჩის თესლმსხმოიარობის დადგენის მიზნით;
- ✓ გაიცა „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი ცხოველების/ფრინველების (მაგ. შვეარდენი, თუთიყუში) სახეობების, მათი ნაწილებისა და დერივატების ექსპორტის, იმპორტის, რექსპორტისა და ზღვიდან ინტროდუქციის **41 ნებართვა**;
- ✓ დამტკიცდა სამონადირეო მეურნეობის მართვის **1 გეგმა**;
- ✓ გენმოდირეცირებული ორგანიზმების ტრანზიტზე გაიცა **1 თანხმობა**;
- ✓ გაიცა სამეცნიერო-კვლევითი მიზნით ცხოველთა სამყაროს ობიექტების გარემოდან ამოღების **3 თანხმობა** (ფრინველები);
- ✓ გაიცა სამეცნიერო-კვლევითი მიზნით თევზჭერის **12 თანხმობა**;
- ✓ „საქართველოს „წითელი წიგნისა და წითელი ნუსხის შესახებ“ გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური მცენარეების ან მათი ნაწილების მოპოვებაზე (ბუნებრივი გარემოდან ამოღებაზე) გაიცა **19 თანხმობა**;
- ✓ განხორციელდა ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული საქმიანობების (**9 საქმიანობა**) რეგისტრაცია.

საერთაშორისო ურთიერთობები

2025 წელს გაფორმებული მემორანდუმები და შეთანხმებები

2025 წლის 21 მაისს, გარემოს ეროვნულ სააგენტოსა და გაეროს განვითარების პროგრამას (UNDP) შორის გაფორმდა შეთანხმება, რომელიც სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტის სპეციალისტების მიერ სამი მაღალი რისკის მქონე მუნიციპალიტეტისათვის - ვანის, ბაღდათისა და ქობულეთისთვის - გეოლოგიური საფრთხეების (მეწყერი, ღვარცოფი) დეტალური რუკების შედგენას ითვალისწინებს.

აღნიშნული პროექტი „კლიმატის ცვლილებებისადმი ადაპტაციის შესაძლებლობების გაძლიერება საქართველოში, ფაზა 2“ დაფინანსებულია შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) მიერ. ინიციატივა ფართომასშტაბიანი კლიმატური პროგრამის ნაწილია, რომელიც ხელს უწყობს კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკის შემცირებას საქართველოში. პროგრამა ხორციელდება საქართველოს მთავრობისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მიერ, კლიმატის მწვანე ფონდისა (GCF) და საქართველოს, შვედეთისა და შვეიცარიის დაფინანსებით.



2025 წლის 24 ივნისს, სომხეთის რესპუბლიკის დედაქალაქ ერევანში, გარემოს ეროვნულ სააგენტოსა და სომხეთის ჰიდრომეტეოროლოგიისა და მონიტორინგის ცენტრს შორის გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი, მეტეოროლოგიურ, ჰიდროლოგიურ და სხვა გარემოსდაცვით სფეროში თანამშრომლობის შესახებ. სომხეთის ჰიდრომეტეოროლოგიურ სამსახურთან

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი მიზნად ისახავს რეგიონში ბუნებრივ საფრთხეებზე რეაგირების ეფექტიანი მექანიზმების გამოყენებას, რეგიონულ დონეზე კოორდინაციის გაუმჯობესებას და მხარეებს შორის მონაცემების გაცვლას. თანამშრომლობა ითვალისწინებს სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის ჰიდრომეტეოროლოგიის, გეოლოგიის და წყლის რესურსების მართვის ხელშეწყობას.

2025 წლის 11 ივლისს, გარემოს ეროვნულ სააგენტოსა და გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციას (FAO) შორის შეთანხმება გაფორმდა, რომლის ფარგლებშიც პროექტი „მონიტორინგი, მონაცემთა შეგროვება და ცნობიერების ამაღლება საქართველოში შავი

“ზღვის მეთევზეობის სფეროში“ ხორციელდება. აღნიშნული პროექტი საქართველოში სანაპირო მეთევზეობის (SSF) სექტორის აღწერას, მეთევზეების შესახებ სოციალური და ეკონომიკური მონაცემების შეგროვებას, მონაცემთა ბაზის შექმნას, ზღვის ბიომრავალფეროვნების დაცვას და ამ მიმართულებით ცნობიერების ამაღლებას უზრუნველყოფს.

2025 წლის 14 ივლისს, გარემოს ეროვნულ სააგენტოსა და ევროპის მეტეოროლოგიურ ქსელს (EUMETNET) შორის გაფორმდა თანამშრომლობის შეთანხმება. აღნიშნული შეთანხმების ფარგლებში, გარემოს ეროვნულ სააგენტოს ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტს შესაძლებლობა მიეცემა ითანამშრომლოს ევროპის ქვეყნების ეროვნულ მეტეოროლოგიურ და ჰიდროლოგიურ სამსახურებთან, მიიღოს მონაწილეობა საერთო პროგრამებსა და მოდულებში და ისარგებლოს ერთიანი სასწავლო რესურსებით.

თანამშრომლობა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ამინდის პროგნოზირების ხარისხს საქართველოში და გააძლიერებს სააგენტოს შესაძლებლობებს კლიმატური სერვისებისა და ადრეული გაფრთხილების მიმართულებით“. ევროპის მეტეოროლოგიური ქსელი (EUMETNET) დარგში ერთ-ერთი წამყვანი ორგანიზაციაა, რომელიც 33 წევრ და 6 მოთანამშრომლე ორგანიზაციას აერთიანებს, რომელიც წარმოადგენს თანამშრომლობისა და კოორდინაციის პლატფორმას ეროვნულ ჰიდრომეტეოროლოგიურ სამსახურებს შორის, რაც ემსახურება ევროპის მასშტაბით ამინდის პროგნოზირების, კლიმატური მომსახურებებისა და ადრეული გაფრთხილების სისტემების განვითარებასა და გაუმჯობესებას.



2025 წლის 4 დეკემბერს, სომხეთის რესპუბლიკის დედაქალაქ ერევანში, გარემოს ეროვნულ სააგენტოსა და სომხეთის ჰიდრომეტეოროლოგიისა და მონიტორინგის ცენტრს შორის გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი, ხრამი-დებედას ტრანსსასაზღვრო მდინარის აუზში მონიტორინგისა და ინფორმაციის გაცვლის სფეროში თანამშრომლობის შესახებ.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ თანამშრომლობა ითვალისწინებს ხრამი-დებედას მდინარის აუზში შერჩეული წყლის ობიექტების (როგორც ზედაპირული, ასევე მიწისქვეშა) ერთობლივ მონიტორინგს, ინფორმაციის გაცვლისა და მდგომარეობის შესახებ ანგარიშგების მომზადებას, რის საფუძველზეც მხარეები განახორციელებენ მონიტორინგს და ინფორმაციის გაცვლას.

მემორანდუმი ეფუძნება ჩვენი ქვეყნების მრავალწლიან თანამშრომლობას, კონსულტაციებს, ერთობლივ საველე სამუშაოებს და მიღწეულ პროგრესს მონიტორინგის სტანდარტების ჰარმონიზაციაში, რაც მხარდაჭერილია EUWI Plus-ისა და EU4Environment – წყლის რესურსებისა და გარემოსდაცვითი მონაცემების პროგრამების მიერ. ხრამი-დებედას მდინარის აუზი საქართველოსა და სომხეთისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის საერთო რესურსია, რომელიც უზრუნველყოფს წყალს ეკოსისტემებისთვის, სოფლის მეურნეობისთვის, ენერგეტიკისთვის და ადგილობრივი მოსახლეობისთვის.

სამომავლო გეგმები

გარემოსდაცვით სფეროში არსებული ავტორიზაციების გაცემის "ერთი სარკმლის პრინციპის" დანერგვა

რეფორმა რომლის ფარგლებშიც გარემოსდაცვით სფეროში არსებული ავტორიზაციები გაიცემა გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ, „ერთი სარკმლის პრინციპით“, რაც უზრუნველყოფს ბიზნესს პროცესების გამარტივებას, მოქნილობას და გამჭვირვალობას. შეიქმნება ელექტრონული პორტალი, რომელიც უზრუნველყოფს გარემოსდაცვითი სერვისების ერთიან ციფრულ პლატფორმაში ინტეგრირებას, რაც მომხმარებლებს საშუალებას მისცემს ერთ სივრცეში მიიღოს საჭირო მომსახურება სწრაფად და მოქნილად.

2026 წელს დაგეგმილი სტრუქტურული ცვლილებები

შეიქმნება ახალი დეპარტამენტი, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყანაში წყლის რესურსების ახალი, ინტეგრირებული მართვის სისტემის ჩამოყალიბებას, რომელიც დაეფუძნება წყლის რესურსების მართვის ძირითად პრინციპს - მდინარეთა სააუზო მართვას „წყლის რესურსების მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე. კანონი მიღებულია 2023 წელს და ამოქმედდება 2026 წლის 1 სექტემბრიდან.

შეიქმნება ახალი სამმართველო, რომელიც უზრუნველყოფს: ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყალაღების, ზედაპირული წყლის ობიექტში წყალჩაშვების და ზედაპირული წყლის ობიექტით წყალსარგებლობის კომბინირებული ნებართვების გაცემას.

შეიქმნება ახალი დეპარტამენტი რომელიც უზრუნველყოფს დაბინძურების გამომწვევ სამრეწველო საქმიანობაზე ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემას სამრეწველო ემისიების შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე. კანონი მიღებულია 2023 წელს და ამოქმედდება 2026 წლის 1 სექტემბრიდან.

ინფრასტრუქტურული პროექტები

მომდევნო წელს დაგეგმილია ორი მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტის დაწყება, რომელებიც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს სააგენტოს შესაძლებლობებს: ქ. ქუთაისში, ირ. აბაშიძის გამზირზე, ახალი სამსართულიანი, ადმინისტრაციული და ლაბორატორიული ფუნქციის მქონე შენობის მშენებლობის დაწყება და ქალაქ გურჯაანში, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ახალი ადმინისტრაციული და ლაბორატორიული ფუნქციის მქონე შენობის მშენებლობის დაწყება.